სტრესი და თვითმართვის უნარი ეთნიკურ უმცირესობებში

გედევან იმერლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ. უმცირესობათა სოციალიზაციის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია საგანმანათლებლო დაწესებულებანი, განსაკუთრებით საჯარო სკოლა და ამ გარემოში ყურადსაღებია მათი თვითფლობის საკითხი, როგორც სოციალიზაციის საჭირო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება. მიჩნეულია, რომ მაღალი თვითფლობის ადამიანები ახდენენ თვითპრეზენტაციის რეგულირებას სასურველი შთაბეჭდილებების მოხდენის მიზნით. იმისთვის, რომ სიტუაციის შესაბამისად მოიქცნენ, ისინი ძალზე მგრძნობიარენი არიან სოციალური და ინტერპერსონალური მანიშნებლებისადმი. დაბალი თვითმფლობის მქონე პირებს კი არ აქვთ იმის უნარი, ანდა მოტივაცია, რომ მართონ თვითპრეზენტაცია. შესაბამისად, ისინი ნაკლებ მგრძნობიარობას ამჟღავნებენ სიტუაციის მანიშნებლების მიმართ. მათი ექსპრესიული ქცევა არეკლავს მათ შინაგან მდგომარეობას, ატიტუდებს, თვისებებსა და გრძნობებს. აღნიშნული საკითხი ნაკვლევია რამდენიმე მიმართულებით, მაგრამ არა ეთნიკურ უმცირესობებში, არადა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებში თვითფლობის საკითხი მძაფრად უნდა იდგეს, სხვა ქვეყანაში ყოფნის, განსხვავებული სოციო-კულტურული ნორმების, სხვა ეთნოსის გარემოცვის გამო, მითუმეტეს თუ სკოლის გარემოზეა საუბარი, სადაც მსგავსი საკითხების აქტუალობა განსაკუთრებულად იჩენს ხოლმე თავს, ანუ ამ ჯგუფში მწვავედ დგას განსხვავებულ ძირითად კულტურასთან ადაპტაციის საჭიროება (მაყაშვილი, ჩხვედაძე 2010) და ეს თავის მხრივ მოზარდებითვის ჰქმნის სტრესულ გარემოს.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობაში, კერძოდ, აზერბაიჯენელებში გამოავლინოს კავშირი თვითფლობის უნარსა და სტრესს შორის.

მოცემულ კვლევაში გამოიყენებოდა ორი სახის კითხვარი. ესენია:

- სპილბერგის სიტუაციური შფოთვის შკალა.
- სნაიდერის თვითფლობის შკალა.

მონაცემებით გამოიკვეთა, რომ ქართველმა მოზარდებმა სკოლაში ზომიერი სიტუაციური შფოთვის დონე გამოავლინეს. ხოლო ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა - სიტუაციური შფოთვის მაღალი დონე.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები სანდოდ გვიჩვენებს, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელების დაბალ თვითფლობასა და მაღალ სტრესს შორის არის უარუოფითი კორელაცია (პირსონის კორელაცია = -.199; Sig. (2-tailed) = .036), ეს იმას ნიშნავს, რომ თვითფლობის უნარის კლება იწვევს სტრესის დონის მატებას. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, კერძოდ, სკოლის აზერბაიჯანელი მოსწავლეები ეთნიკური ქართველი თანაკლასელების გარემოცვაში განიცდიან სტრესს, რისი ერთ-ერთი დამატებითი გარემოებაც არის ქართულ სკოლაში სწავლა.

ეს ყოველივე ნამდვილად საჭიროებს ყურადღების მიქცევას, რათა შესაძლებელ იქნას მომავალი გართულებების თავიდან აცილება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სტრესი, ეთნიკური უმცირესობები, თვითფლობა, სიტუაციური შფოთვა.